ესეების კონკურსი

''სამოქალაქო ინიციატივების პლატფორმა'' მიზნად ისახავს განსაკუთრებული წერის ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების აღმოჩენას და გამოვლენას, სწორედ ამიტომ, აცხადებს კონკურსს **ესეების წერაში**. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ **15-19 წლის ახალგაზრდებს**.

● **კონკურსის მოკლე აღწერა**

ესეების კონკურსი შედგება ორი ეტაპისგან. პირველ ეტაპზე მონაწილეობის მსურველებმა უნდა გადმოგზავნონ თავიანთი ესე ორგანიზაციის ელექტრონულ ფოსტაზე civiniplat@gmail.com . მიღებული ნაშრომების შესწორების შემდგომ გამოვლინდება **50 ფინალისტი**, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ დასკვნით ეტაპში. დასკვნითი ეტაპისას ფინალისტები სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში დაწერენ ესეებს კონკრეტულ საკონკურსო თემებზე.

● **პრიზები:**

1-ლი ადგილი: 500 ლარის ღირებულების წიგნის მაღაზიის ვაუჩერი;

მე-2 ადგილი: 400 ლარის ღირებულების წიგნის მაღაზიის ვაუჩერი;

მე-3 ადგილი: 300 ლარის ღირებულების წიგნის მაღაზიის ვაუჩერი;

საუკეთესო ნაშრომები განთავსდება ორგანიზაციის Facebook გვერდზე და ''მოწონებების'' ოდენობის მიხედვით გამოვლინდება **Facebook ფავორიტი ესე,** რომლის ავტორსაც გადაეცემა 200 ლარის ღირებულების წიგნის მაღაზიის ვაუჩერი.

ამას გარდა, შედეგების მიხედვით საუკეთესო **15 ფინალისტი** დაჯილდოვდება წიგნებით, სიგელებითა და სიმბოლური საჩუქრებით. **დასკვნით ეტაპის ყველა მონაწილეს** გადაეცემა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

● **დამატებითი კითხვებისთვის მოგვმართეთ:**

საკონტაქტო პირი: ხატია ზუხუბაია **(557238134)**

Email: civiniplat@gmail.com ; Official Facebook page: www.facebook.com/cip.ge

- **საკონკურსო ნაშრომის გაფორმების წესი:**
  - ✓ შრიფტი: Sylfaen;
  - ✓ შრიფტის ზომა: 12;
  - ✓ ინტერვალი: 1,5;
  - ✓ სიტყვების ლიმიტი: 400-700 სიტყვა;

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია: ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნილ ფაილს თან დაურთეთ თქვენი (ავტორის) პირადი ინფორმაცია, კერძოდ: სახელი-გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ქალაქი, სასწავლებელი, მობილური ტელეფონის ნომერი (სასურველია მიუთითოთ სარეზერვო ნომერიც).

ნაშრომების გამოგზავნის ბოლო თარიღია 20 დეკემბერი, 23:59 !!!

საკონკურსო დავალება

კონკურსის პირველ ეტაპზე მოგეთხოვებათ **ერთი წერითი დავალების** შესრულება. თქვენს წინაშეა **ექვსი** სათაური. ყურადღებით გაეცანით თითოეულ მათგანს, **შეარჩიეთ მხოლოდ ერთი** და დაწერეთ ესე შერჩეული სათაურის მიხედვით. მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ წაკითხული წიგნი, ნანახი ფილმი, სხვათა ნაამბობი თუ პირადი გამოცდილება. სასურველია, ესეს მოცულობა **400-700 სიტყვის** ფარგლებში ჩაეტიოს, რათა ნაშრომში სრულად აისახოს თქვენი დამოკიდებულება დასმული საკითხის მიმართ.

- ➢ ადამიანის არჩევანი - თავისუფლება და პასუხისმგებლობა
- ➢ ემოციური პატრიოტობა რაციონალური პატრიოტობის წინააღმდეგ
- ➢ რწმენა - ფრთები თუ ბორკილები?
- ➢ საქართველოს ისტორიის შვიდი ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონა
- ➢ არსებობს თუ არა ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებს შორის?
- ➢ ტოტალიტარიზმი - ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ მიმართული იარაღი